საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH
AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030464316250914

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/103157

26 / დეკემბერი / 2014 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

GRASS
RMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 451
თარიღი: 29 12 2014

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 9 დეკემბრის N822 წერილთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილი მონაცემების მოწოდებას, აღვნიშნავთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია განმარტებულია, როგორც **ოფიციალური დოკუმენტი** (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მომსახურების მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაზე მიმდინარეობს მუშაობა, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოთხოვნილი მონაცემები ე.წ. ახალი მეთოდოლოგიის ფარგლებში.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N93 დადგენილებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგით" შეფასებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ ოჯახთა(პირთა) რაოდენობას, სარეიტინგო ქულების ჯგუფების მიხედვით, წარმოადგენს შემდეგს:

ოჯახის სარეიტინგო ქულა	ოჯახების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა
ნაკლებია 30001	38 239	128 539
30001-57000	116 224	333 456
57001-60000	11 663	36 724

60001-65000	22 019	68 796
65001-100000	194 893	600 008

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2014 წლის დეკემბრის თვეში ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა გადაერიცხა 95 439 პენსიონერს.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გაიოზ თალაკვაძე